ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N16

22 ოქტომბერი, 2018 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ე. კუხიანიძე, ვ. ძნელაძე. ნ. ვაჩეიშვილი, მ. დარჩია, ქ. ჯოხაძე, გ. გოცირიძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:**

1.1. „ქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი“ ჩატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

1.2. „ქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი“ ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N128 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: ქალბატონი თამარ ტალიაშვილი

თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა. იგი მიესალმა სხდომის მონაწილეებს და განუმარტა, რომ კომისია განიხილავდა „ქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი“ ჩატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, ასევე „ქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი“ ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N128 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

ქალბატონი თამარის თქმით, აღნიშნული პროექტები საკრებულოს რამდენიმე კომისიის სამდივნოსა და განყოფილების თანამშრომლობის შედეგად, ჩამოყალიბდა იმ რედაქციით, რომლებიც კომისიის წევრებს დარიგებული აქვთ მიმდინარე სხდომაზე. აღნიშნული პროექტები წევრებს, ასევე მიეწოდათ ელექტრონული სახით.

მისივე თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ყოველწლიურად განიხილავს ზემოთ აღნიშნული დადგენილებას. შესაბამისად, მასში წელსაც დაიგეგმა ცვლილება, რომელიც აგრეთვე ვრცელდება კონკურს ,,თბილისის'' ჩატარების ვადასა და ნომინაციებზე.

როგორც ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, გასულ წლებში კონკურსი თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში ტარდებოდა, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ თბილისობის პერიოდში ბევრი ღონისძიება იმართება, მათ შორის, კულტურული და სახელოვნებო, კონკურსი ,,თბილისის'' საფინალო ეტაპის ჩატარება გადაიწევს წლის ბოლოს.

მისივე განმარტებით, დადგენილებაში განსახორციელებელი ცვლილებების მიხედვით, კონკურსის საორგანიზაციო საკითხებს საორგანიზაციო ჯგუფი შეიმუშავებს.

სხდომის მონაწილეებს განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნოს უფროსმა, ბატონმა ირაკლი მხეიძემ განუმარტა, რომ ადრე კონკურსი ,,თბილისი''

ტარდებოდა, საკრებულოს მიერ გამოცემული, როგორც ნორმატიული, ასევე ინდივიდუალური აქტის საფუძველზე. მისი ჩატარების ზოგად პირობებს განსაზღვრავდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება, ხოლო კონკურსის საორგანიზაციო საკითხების მოსაწესრიგებლად ყოველწლიურად გამოიცემოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება. მისივე განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, განკარგულების დამატებით მიღება აღარ იქნება საჭირო, რადგან კონკურს ,,თბილისის'' ჩატარებისათვის საჭირო ზოგიერთი დებულება ჩაიწერება კონკურსის შესახებ საკრებულოს დადგენილებაში, ხოლო დამატებითი საკითხები განისაზღვრება საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით.

შესაბამისად, დღეს განათლებისა და კულტურის კომისია სხდომაზე განიხილავს „ქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი"-ს ჩატარების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ინიცირებისა და „ქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი" ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N128 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების ინიცირების საკითხს.

ბატონი ირაკლის თქმით, კონკურსის ნომინაციები მცირდება ერთ ნომინაციამდე და დადგენილების თანახმად, კონკურსის ნომინაცია იქნება ,,წლის საუკეთესო ესსე''.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ ისაუბრა კონკურსის მნიშვნელობაზე. მან ასევე, განმარტა, რომ მომავალ წელს შესაძლებელია აღნიშნული კონკურსის ფორმის ცვლილება, რაზეც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსის ბიუჯეტი ყოველწლიურად მტკიცდება, შესაბამისად, მისი ფორმის ცვლილებაც შესაძლებელია.

კომისიის წევრი, ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაინტერესდა არის თუ არა ასახული კონკურსის ბიუჯეტი „ქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი" ჩატარების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტსა და „ქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი" ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის

N128 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტში. აღნიშნულზე კომისიის თავმჯდომარემ განუმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების პროექტში კონკურსის ბიუჯეტი არაა ასახული და ამ სამართლებრივ აქტებში იგი არასდროს ყოფილა გაწერილი.

ბატონი ნიკოლოზი, ასევე დაინტერესდა კონკურსის ჟიურიში და საორგანიზაციო ჯგუფში საკრებულოს წევრების ჩართულობის საკითხით. კერძოდ, შეიძლება, თუ არა, რომ კონკურს ,,თბილისის'' ჟიურის წევრი იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

ბატონი ნიკოლოზის კითხვის საპასუხოდ, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ასეთი რამ დაუშვებელია და აქამდე არსებული პრაქტიკით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები კონკურს ,,თბილისის'' ჟიურის საქმიანობაში საერთოდ არ ერევიან.

ქალბატონი თამარის განმარტებით, გასულ წელს ჟიურის წევრების შერჩევა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით უზრუნველყო ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ.

ბატონმა ნიკოლოზი დაინტერესდა თუ რომელ დოკუმენტში ჩანს აღნიშნული, რაზეც ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა უპასუხა, რომ კონკურის ,,თბილისის'' არსებული პრაქტიკით, ჟიურის საქმიანობაში ჩარევა არ ხორციელდება და იგი მოქმედებს სპეციალურად შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე, კერძოდ, დამოუკიდებლობა, გამჭირვალობა, ანონიმურობა და სხვ. ჟიურისადმი კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი ნაშრომები ანონიმურია და ჟიურიმ არ იცის თუ ვის ნაწარმოებს აფასებს.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, ირაკლი მხეიძემ, მარიკა დარჩიამ, ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

„ქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი“-ს ჩატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის

8 მაისის N11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტისა და

„ქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი“ ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N128 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიცირების შესახებ.

მომხრე _____	7
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ინიცირების წესით წარედგინოს „ქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი“-ს ჩატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და „ქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი“ ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N128 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი